ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-0318030188**

თარიღი: **30.01.2018**

ადრესატი:
გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო გიორგი,

2018 წლის 30 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენის მეტროსადგურში ,,ვარკეთილი'' ავარიულმა შემთხვევამ საფრთხეში ჩააგდო მეტროპოლიტენით მოსარგებლე მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ჰოსპიტალიზირებულია ათეულზე მეტი მოქალაქე, აღნიშნულმა შემთხვევამ გამოავლინა თბილისის მეტროპოლიტენში საგანგაშო მდგომარეობა, რომ საქალაქო ტრანპორტით მგზავრობა რომლითაც სარგებლობს ასეულობით ათასი მგზავრი არ არის უსაფრთხო.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N 2-1 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი''-ს 55-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის საფუძველზე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უახლოეს დღეებში გთხოვთ მოიწვიოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, შემდეგი დღის წესრიგით: 2018 წლის 30 იანვარს თბილისის მეტროპოლიტენის მეტროსადგურში ,,ვარკეთილი'' ავარიული შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე, თბილისის მეტროპოლიტენში მგზავრთა უსაფრთხოების მდგომარეობაზე უფლებამოსილი პირების - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, შპს ,,თბილისის სატრანპორტო კომპანიის'' გენერალური დირექტორის, საკითხზე კურატორი თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ანგარიშის მოსმენა. ასევე გთხოვთ უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული პირების მოწვევა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - ფრაქცია ,,ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა" - ფრაქციის
თავმჯდომარე

ირაკლი ნადირაძე